



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030192859217713

№ 01-115/ო

20 / მაისი / 2013 წ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის **2013-2016 წლების სახელმწიფო სამოქმედო გეგმის** შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს სხდომის 2012 წლის 19 ივნისის N2 ოქმის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N231 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) დავით ლომიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ბ) ამირან დათეშიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი;
- გ) ნინო ჯინჯოლავა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- დ) ლელა სერგებრიაკოვა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი;
- ე) ნანა კალმახელიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- ვ) დავით ივანიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების პროგრამების სამმართველოს უფროსი.

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვით:

- ა) ეკატერინე გუნცაძეს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
- ბ) ლევან სოფრომაძეს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
- გ) მარიკა ზაქარეიშვილს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის დირექტორი;
- დ) ეკა დგებუაძეს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;
- ე) მაია ბაგრატიონ-გრუზინსკის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროექტის მენეჯერი;

ვ) ქეთევან სარაჯიშვილს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორის საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველი;

ზ) ნათია კობიძეს - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

თ) ირინე საგანელიძეს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

ი) მარიკა ქიქოძეს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის სპეციალისტი;

კ) ალექსანდრე მოვსესიანს - საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ლ) ზაზა კაკუშაძეს - ნეიროგანვითარების ცენტრისა და ნეირორეაბილიტაციის პროგრამების დირექტორი;

მ) ბესიკ ცაავას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

3. სამუშაო ჯგუფს დაევალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოსთან კოორდინირებულად სათანადო ღონისძიებების გატარება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

4. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს წინაშე.

5. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციების შესრულება დაევალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დimitრი მახათაძე

